ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**გ-69. 69231214**

თარიღი:**01/05/2023**

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63 - მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში

1. განკარგულებით დამტკიცებულ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხიდან ამოღებული იქნეს შემდეგი ობიექტები:

ა) 36.10.39.013 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული სოფელ თეთრაწყაროში მდებარე 65 კვ.მ მიწის ფართი, ვინაიდან მიწის ფართი მდებარეობს 36.10.39.266 საკადასტრო კოდზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შიგნით, რომელზეც ეწყობა სკვერი.

ბ) 36.08.00.391 საკადასტრო კოდით აღნიშნული სოფელ ხონში მდებარე ყოფილი კლუბ-კანტორა, მასზედ დამაგრებული მიწით, ვინაიდან აღნიშნული ქონების პრივატიზება განხორციელდა 2020 წელს.

გ) 36.15.38.004 საკადასტრო კოდით აღნიშნული სოფელ მარელისში მდებარე სახერხი, ვინაიდან აღნიშნული ქონების პრივატიზება განხორციელებულია 2016 წელს.

დ) 36.10.32.001 საკადასტრო კოდით აღნიშნული სოფელ კიცხში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი,ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა აშენდეს საბავშვო ბაღი, რომელზეც გამოცხადებულია ტენდერი.

ე) ტრაქტორი დტ-75 (სოფელი ღორეშა) (ჯართი), ვინაიდან განხორციელებულია აღნიშნული ქონების პრივატიზება.

ვ) ტრაქტორი ბელარუსი (სოფელი ღორეშა)(ჯართი), ვინაიდან განხორციელებულია აღნიშნული ქონების პრივატიზება.

ზ) სახნავი გუთანი (კულტივატორი), რომელიც გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტის მიერ.

თ) ორი ცალი ელექტრო გამათბობელი და მინის მაგიდა, რომელიც გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა მიერ.

2. საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხას დაემატოს სოფელ ბორითში 36.03.41.024.01.500 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული (შენობა-ნაგებობის პირველი სართული) 99.54 კვ.მ ფართი.

მუხლი 2 დამტკიცდეს **.** საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა თანდართული დანართის მიხედვით.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

სარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი